ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფილოსოფია / Philosophy

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოსოფიის ბაკალავრი / BA in Philosophy

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი. საბაკალავრო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 50 ECTS კრედიტი ეთმობა საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს. 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის. 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისათვის.
ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 75 ECTS კრედიტი სპეციალობის ძირითადი კურსებისთვის, 35 ECTS კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის, ხოლო 10 ECTS კრედიტი განკუთვნილია საბაკალავრო ნაშრომისთვის.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია, მისცეს სტუდენტს საბაზო ცოდნა ფილოსოფიაში; გააცნოს ფილოსოფიური აზროვნების ძირითადი ტრადიციები, იდეები და მიმართულებები; შეასწავლოს ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლების ნააზრევი; გააცნოს ფილოსოფიის განვითარების ისტორიული გზა და დასავლური აზროვნების ამოსავალი პრინციპები და ღირებულებები. სტუდენტი შეიძენს ყოფიერების, სამყაროს, შემეცნების, ადამიანისა და საზოგადოების ძირეული პრობლემების შესახებ არგუმენტირებული, სისტემური და კონცეპტუალური გააზრების გამოცდილებას და შეძლებს მათ შესახებ დასაბუთებულად მსჯელობას.
სტუდენტი შეძენილი ცოდნის შედეგად დაეუფლება ფილოსოფიის ცნებით აპარატს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კულტურისა და ადამიანური ყოფიერების არსებითი ასპექტების შემეცნება და გაცნობიერება. სტუდენტი შეძლებს კრიტიკულად გაიაზროს ფილოსოფიის ფუნდამენტური იდეები და პრობლემები, რომლებიც ეხება სინამდვილეს, ბუნებას, ღირებულებებს, შემეცნების მეთოდებსა და ხასიათს.
პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს გამოუმუშავოს ფილოსოფიური პრობლემების გააზრების, შეკითხვების დასმის, დისკუსიის, და პასუხის გაცემის უნარ-ჩვევები. სტუდენტი ძირითადი ფილოსოფიური იდეების ზოგად თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღებს ეპოქების მიხედვით ფილოსოფიურ ტექსტებზე მუშაობის გამოცდილებას, ისეთი თემების შესახებ მსჯელობის უნარს, როგორიცაა, გონება, ჭეშმარიტება, თავისუფლება, აზროვნება და სხეული, ღმერთი, ცოდნა და რწმენა, შემეცნება, პასუხისმგებლობა, ზნეობა, სიკეთე, მშვენიერება, ისტორიულობა, გაგება და ინტერპრეტაცია.
შემეცნების ფილოსოფიური მეთოდების გაცნობისა და ფილოსოფიური ტექსტების შესწავლის შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება ფილოსოფიური აზროვნების უნარი, რომელიც ხელს შეუწყობს ენის, მითოსის, რელიგიის, მეცნიერების, პოლიტიკის, სამართალის, განათლების, ხელოვნების, და სხვა ადამიანური ფენომენის გაგებასა და ინტერპრეტაციას კულტურულ, ისტორიულ და სოციალურ კონტექსტებში.
ყველა ზემოჩამოთვლილი ცოდნა და უნარები, უზრუნველყოფს სტუდენტის დასაქმებას, როგორც თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის ასევე გამოყენებითი და პროფესიული ეთიკის სფეროში.

პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე შრომის ბაზრის, დამსაქმებლის მოთხოვნებს და ამზადებს შესაბამისი უნარებით აღჭურვილ კონკურენტუნარიან სპეციალისტს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები.

სწავლის შედეგი:

ა. ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებულს აქვს ზოგად ფილოსოფიაში ძალზე ფართო სპექტრის ცოდნა, როგორიცაა არსება, ჭეშმარიტება, თავისუფლება, კაუზალობა, სული და სხეული, ღმერთი; ფილოსოფიის კონკრეტული სფეროს ცოდნა, როგორიცაა: ენა, მეცნიერება, სოციალური ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, რელიგია, კულტურა, ეთიკა; ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეპოქების ცოდნა, განსაკუთრებით დასავლური ტრადიციის, კლასიკოსების, მათი იდეების და არგუმენტების გაცნობიერება და ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიის ცოდნა; ძირითადი ფილოსოფიური თეორიების ცოდნა და კომპლექსური საკითხების გაცნობიერება ისეთ სფეროებში, როგორიცაა მეტაფიზიკა, ეპისტემოლოგია და ლოგიკა; სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფიის ძირითადი თეორიების ცოდნა; ფილოსოფიაში ძირითადი მიმდინარეობების ცოდნა; ფილოსოფიის სხვადასხვა მეთოდების ცოდნა და კრიტიკული გააზრება.

ბ. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთავრებულს შეუძლია დარგის ფარგლებში ამა თუ იმ საკითხზე პროფესიული მსჯელობა და ამა თუ იმ დოზით პრობლემის დასმა და გადაწყვეტა. აქვს აზრის სიზუსტის მიღწევის და მისი ადეკვატური გამოყენების უნარი რთული და წინააღმდეგობრივი დებატებისას; სხვადასხვა ტრადიციაში და ეპოქაში გამოთქმულ შეხედულებათა და ტექსტების შინაარსის ინტერპრეტაციის უნარი; სპეციფიკური ფილოსოფიური ტერმინოლოგიური და მეთოდოლოგიური აპარატის ადექვატური გამოყენების უნარი შესაბამის კონტექსტში; წარმოდგენილი არგუმენტების კრიტიკული შეფასების უნარი; პოზიციის დამადასტურებელი, ან საწინააღმდეგო მაგალითების აღმოჩენა და შესაფერისი ძლიერი და სუსტი მოსაზრებების განცალკევება; სხვადასხვა დროის და ტრადიციის ტექსტების აღქმა; შეუძლია გადალახოს საგნის ტრადიციული საზღვრები, სხვა დისციპლინათა ნაკლოვანებებისა და ღირსების განხილვით და აღმოაჩინოს ფილოსოფიური დოქტრინები უცნობ არეებზე; შესაბამისი ლიტერატურიდან პროფესიული ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარი.

გ. დასკვნის უნარი: კურსდამთავრებულს აქვს სწავლის პროცესში საჭირო მასალის მოპოვების, მათი ინტერპრეტაციის და განმარტების უნარი. ფილოსოფიური მეთოდოლოგიების გამოყენების უნარი, სათანადო მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზის განსახორციელებლად. ფილოსოფიური არგუმენტირების უნარი, რომელიც ემყარება კლასიკურ და თანამედროვე მეთოდებს და მეთოდოლოგიურ კონცეფციებს, ითვალისწინებს ერთიანი ცოდნის შემუშავების პოტენციალს, მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებისა და აბსტრაგირების უნარი, ანალიზის და გადმოსაცემი არგუმენტების ჩამოყალიბებისა და ლოგიკური შეცდომების დადგენის, კონკრეტულიდან ზოგადზე გადასვლის უნარი.

დ. კომუნიკაციის უნარი: ინფორმაციის მკაფიოდ და ეფექტურად სელექციის უნარი, ფილოსოფიური იდეებისა და პრობლემების პრეზენტაციისა და წერილობითი ფორმით გადმოცემის უნარი; ინფორმაციის კონცეპტუალური სახით ჩამოყალიბებისა და გადაცემის უნარი; საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების უნარი. კულტურათა დიალოგში მონაწილეობის და დებატების უნარი;

ე. სწავლის უნარი: კურსდამთავრებულს აქვს დარგის სწავლების პროცესის, საკუთარი საჭიროებების, ამოცანებისა და პერსპექტივების სისტემატური შეფასების უნარი; კერძოდ, კურსდამთავრებულები შეიძენენ ისეთ ინტელექტუალურ უნარს, რომელიც ადვილად ტრანსფორმირდება სხვა ინტელექტუალურ კონტექსტში და ხელს შეუწყობს სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების დამოუკიდებლად წარმართვას. შემოქმედებითი, თვითკრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, დროისა და შრომის ორგანიზების უნარი; საკუთარი თავის მოტივირების უნარი.

ვ. ღირებულებები: ღირებულებით ორიენტაციებში გარკვევა, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრების პროცესის ხელშეწყობა, ცოდნა იმისა, თუ რა არის მოვალეობა, თავისუფლება, ჭეშმარიტება, სიკეთე, მშვენიერება; საპირისპირო აზრის პატივისცემის უნარი, არგუმენტების მოყვანის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ საჯარო სამსახურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში. საზოგადოების სულიერი ცხოვრების, მეცნიერების, რელიგიის, კულტურის და პოლიტიკის შესახებ მონაცემთა ანალიზისა და შეფასების ექსპერტებად. სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ დაწესებულებებში.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. დემურ ჯალაღონია

დამატებითი ინფორმაცია: სპეციალობის არჩევა არაუგვიანეს მესამე სემესტრიდან. სწავლის გაგრძელება შესაძლებელია ჰუმანიტარულ, სოციალ-პოლიტიკურ და საბუნებისმეტყველო დარგების სამაგისტრო პროგრამებზე.
დარგობრივი კომპეტენციების გასაღრმავებლად კარგია კომბინირება შემდეგ დამატებით პროგრამებთან: კლასიკური ფილოლოგია, ფსიქოლოგია, ქართული ფილოლოგია.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური

რესურსების შესახებ:

1. ალექსიძე ლელა, პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 2. დემურ ჯალაღონია, პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 3. ვალერიან რამიშვილი პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 4. ყულიჯანიშვილი აკაკი, პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 5. ზაქარიაძე ანასტასია, ასოც. პროფ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 6. ბრაჭული ირაკლი, ასოც. პროფ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 7. გორდეზიანი რეზო, ასოც. პროფ. ფილოსოფიის დოქტორი. 8. კვარაცხელია ნაპო, ასოც. პროფ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 9. მამუკა დოლიძე ასოც. პროფ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 10. ნინო თომაშვილი ასოც. პროფ. ფილოსოფიის დოქტორი. 11. გულიაშვილი ნანა, ასისტენტ პროფ. ფილოსოფიის დოქტორი. 12. ქერქაძე მაია, მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 13. გულიაშვილი დალი, მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 14. ირაკლი ბათიაშვილი მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი. 15. წურწუმია ლია, ფილოსოფიის დოქტორი. (ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით; იხ. დანართი № 3)

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

პროგრამა განხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტში. პროგრამა უზრუნველყოფილი იქნება ფილოსოფიის ინსტიტუტის სამი კომპიუტერით და ინტერნეტით, უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურსცენტრით. სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ვებ-გვერდზე განთავსებულ უცხოურ მასალებს, რომელიც მათ ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული საგნების წარმატებით დაუფლებაში.

სტუდენტები ისარგებლებენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკით, ფილოსოფიის ინსტიტუტის შალვა ნუცუბიძის სახელობის კაბინეტით, სადაც არსებობს საჭირო ლიტერატურა. საჭიროების შემთხვევაში ასევე შეეძლებათ ისარგებლონ სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკით. თსუ კომპიუტერული რესურსცენტრებით.

დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ფილოსოფია / Philosophy

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ECTS კრედიტი

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:
სწავლების მიზანია, პროგრამამ გამოუმუშავოს სტუდენტს ფილოსოფიური პრობლემების გააზრების, შეკითხვის დასმის, მათზე პასუხის გაცემის და დისკუსიის უნარ-ჩვევები. პროგრამის მიზანია, სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებს შეასწავლოს ონტოლოგიისა და გნოსეოლოგიის საკითხები, ადამიანის, ჭეშმარიტების, დროის, სივრცის, მიზეზობრიობის, ღმერთისა და თავისუფლების პრობლემები, ლოგიკის, სიკეთის, მშვენიერებისა და პასუხისმგებლობის საკითხები. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიული ეტაპების: ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი დროის ფილოსოფიას. სტუდენტებს გამოუმუშავდებათ ფილოსოფიურ ტექსტზე მუშაობის, მათი გაგების, ანალიზისა და სინთეზის უნარი. სტუდენტს დამატებით მისცემს მეტ შესაძლებლობას პროფესიული უნარ-ჩვევები გაიღრმაოს, რაც ხელს შეუწყობს ჩამოყალიბდეს თავისი საქმის კარგი სპეციალისტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ფილოსოფიის დამატებით სპეციალობაზე შეუძლია ისწავლოს უნივერსიტეტის ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტმა.

სწავლის შედეგები:
ა) ცოდნა და გაცნობიერება: ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეპოქების ცოდნა, განსაკუთრებით დასავლური ტრადიციის, კლასიკოსების, მათი იდეების და არგუმენტების გაცნობიერება და ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიის ცოდნა; ძირითადი ფილოსოფიური თეორიების ცოდნა და კომპლექსური საკითხების გაცნობიერება, ფილოსოფიაში ძირითადი მიმდინარეობების ცოდნა; ფილოსოფიის სხვადასხვა მეთოდების ცოდნა და კრიტიკული გააზრება.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:
სხვადასხვა ტრადიციაში და ეპოქაში გამოთქმულ შეხედულებათა და ტექსტის აზრის ინტერპრეტაცია; სპეციფიკური ფილოსოფიური ტერმინოლოგიური და მეთოდოლოგიური აპარატის ადეკვატური გამოყენება შესაბამის კონტექსტში; წარმოდგენილი არგუმენტების კრიტიკული შეფასება;
გ) დასკვნის უნარი:
სწავლის პროცესში საჭირო მასალის მოპოვების და განმარტების უნარი. ფილოსოფიური არგუმენტირების უნარი, რომელიც ემყარება კლასიკურ და თანამედროვე მეთოდებს. დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებისა და აბსტრაგირების უნარი, ანალიზის და გადმოსაცემი არგუმენტების ჩამოყალიბებისა და ლოგიკური შეცდომების დადგენის, კონკრეტულიდან ზოგადზე გადასვლის უნარი.
დ) კომუნიკაციის უნარი:
ფილოსოფიური იდეებისა და პრობლემების პრეზენტაციისა და წერილობითი ფორმით გადმოცემის უნარი; საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების უნარი. კულტურათა დიალოგში მონაწილეობის და დებატების უნარი.
ე) სწავლის უნარი:
შემოქმედებითი, თვითკრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, დროისა და შრომის ორგანიზების უნარი; საკუთარი თავის მოტივირების უნარი.

ვ) ღირებულებები:
ღირებულებით ორიენტაციებში გარკვევა, ცოდნა იმისა, თუ რა არის მოვალეობა, თავისუფლება, ჭეშმარიტება, სიკეთე, მშვენიერება; საპირისპირო აზრის პატივისცემის უნარი, არგუმენტების მოყვანის უნარი.
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.
სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. დემური ჯალაღონია

დამატებითი ინფორმაცია: სასურველია აირჩიონ III –IV სემესტრიდან. ფილოსოფიის დამატებითი პროგრამის არჩევა სასურველია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტისთვის.